ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2019-82

ქ. თბილისი

11 ივლისი 2018 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთი მხრივ, **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი** წარმოდგენილი მისი დირექტორის, თამარ ალადაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ს/კ # 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორე მხრივ, **შპს ლოპოტა** წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მაისურაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) იურიდიული მისამართი: საქართველო, თელავის რაიონი, ს. ნაფარეული ს/კ: 431176817 , სს თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22, ა/ა# GE41TB7836236020100003

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **სასტუმროს მომსახურების და სატრანსპორტო მომსახურების (CPV55100000 - სასტუმროს მომსახურება; CPV 60172000 - ავტობუსებისა და ვაგონების დაქირავება მძღოლთან ერთად)** (შემდგომში "მომსახურება") სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის 2019 წლის 6 ივნისს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების - „სატყეო სექტორის კომუნიკაციის სტრატეგიის კოორდინირება“ პროექტის ფარგლებში.

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი 09/07/2019წ. #258

1.3 შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **20000,00 (ოცი ათასი ლარი) ლარს დღგ-ის გარდა**

1.4 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია დანართ #1-ში

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია: შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის 2019 წლის 6 ივნისს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების - „სატყეო სექტორის კომუნიკაციის სტრატეგიის კოორდინირება“ ფარგლებში სატყეო სექტორის საკომუნიკაციო სტრატეგიის საკოორდინაციო შეხვედრის ჩატარების მიზნით საჭირო მოწვეულ სტუმართათვის სასტუმროს მომსახურება და ტრანსპორტირება. დანართი #2-ის შესაბამისად. დანართი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2019 წლის 13 ივლისიდან - 2019 წლის 14 ივლისის ჩათვლით ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია თელავის რაიონი სასტუმრო ლოპოტა სპა რეზორტი.

3.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო თუ, მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი და მომსახურება სათანადოთ არ იქნა შესრულებული, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სათანადო მომსახურების გაწევა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნინო ქიქავა.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე უზუსტობის აღმოფხვრა ერთი საათის ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე. მოითხოვოს ხარვეზის აღმოფხვრა წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით

და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დროულად არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე.

13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 30 აგვისტომდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი შემსყიდველთან.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	შპს ლოპოტა
_____	_____
თამარ ალადაშვილი დირექტორი	გიორგი მაისურაძე დირექტორი

LEPL Environmental Information and Education Centre

Digitally signed by LEPL Environmental Information and Education Centre
Date: 2019.07.12 16:44:16 +04'00'

#	დასახელება	თარიღი	ოთახების რაოდენობა	დღეთა რაოდენობა	CPV კოდი	ერთ. ფასი	სულ თანხა
1	ერთადგილიანი ნომერი	13.07.2019წ.-14.07.2019წ.	20	1	CPV55100000	455	9100
2	ორადგილიანი ნომერი	13.07.2019წ.-14.07.2019წ.	10	1	CPV55100000	510	5100
	დასახელება	**თარიღი**	**პერსონათა რაოდენობა**	**დღეთა რაოდენობა**	**CPV კოდი**	**ერთ. ფასი**	**სულ თანხა**
3	საკონფერენციო დარბაზის ქირაობა	13.07.2019წ.-14.07.2019წ.	40	2	CPV55100000	100	200
4	საკონფერენციო დარბაზის აღჭურვილობა	13.07.2019წ.-14.07.2019წ.	40	2	CPV55100000	500	1000
5	ყავის შესვენება	13.07.2019წ.-14.07.2019წ.	40	2	CPV55100000	11,13	890
6	დამატებითი ლანჩი	14.07.2019წ.	40	1	CPV55100000	42	1680
7	ტრანსპორტირება	13.07.2019წ.-14.07.2019წ.	40	2	CPV60172000	1015	2030
	სულ:						20000,00

19926,00 (ცხრამეტი ათას ცხრაას ოცდაექვსი) ლარს

შემსყიდველი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

თამარ ალადაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი

შპს ლოპოტა

გიორგი მაისურაძე
დირექტორი

სასტუმროში შეხვედრის მონაწილეთა მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- შეხვედრის მონაწილეთა ტრანსპორტირება თბილისიდან 13 ივლისს, გასვლა 10:00 საათზე რესპუბლიკის მოედნიდან
- შეხვედრის მონაწილე 20 პერსონის დაბინავება სასტუმროში 2019 წლის 13 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით (1 ღამე) დაბინავება უნდა მოხდეს 20 (ოცი) ერთადგილიან ნომერში.
  შეხვედრის მონაწილე 20 პერსონის დაბინავება სასტუმროში 2019 წლის 13 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით (1 ღამე) დაბინავება უნდა მოხდეს 10 (ათი) ორადგილიან ნომერში.
- საკონფერენციო დაბაზით უზრუნველყობა 13 ივლისს 40 პესონაზე.
  საკონფერენციო დარბაზში მაგიდის გარშემო უნდა ეტეოდეს 40 პერსონა U-Shape წყობით. დარბაზი აღჭურვილი უნდა იყოს პროექტორით, პროექტორის ეკრანით, ლეპტოპით, 10 ფიქსირებული მიკროფონით, 1 ცალი ფლიპ-ჩარტის დაფა მარკერებით, ბლოკნოტები და საწერი კალმები. ოთახში გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 40 ნახევარლიტრიანი ბოთლი წყალი და შესაბამისი რაოდენობის მინის ჭიქები. დარბაზში უნდა იყოს გამართული გაგრილების სისტემა.
  შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.
- შეხვედრის მონაწილეთა კვებითი მომსახურება 4 (ორმოცი) პერსონაზე (მენიუ დანართი #3-ის შესაბამისად)
- შეხვედრის მონაწილეთა ტრანსპორტირება თბილისამდე 14 ივლისს, გასვლა 16:00 საათზე.

შემსყიდველი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

_____

თამარ ალადაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი

შპს ლოპოტა

_____

გიორგი მაისურაძე
დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2019-82 ხელშეკრულების დანართი #3

სადილისა და ვახშმის მენიუ

4 სახის ყველი (ქართული)
5 სახის მწნილი (კიტრი, კომბოსტო, პილპილი, პომიდორი, ნიორი)
4 სახის ლორი
ფხალის ასორტი
4 სახის ცხელი კერძი (თევზი, საქონლის, ქათმის ან ღორის ხორცი)(ცვალებადი)
2 სახის გარნირი (ბრინჯი, სოკო, ბოსტნეული ან კარტოფილი)(ცვალებადი)
4 სახის სალათი (ქართული სალათი, მწვანე ფოთლების სალათი, ჭარხლის სალათი ან გოგრის სალათი)(ცვალებადი)
წვნიანი (სოკო, მუხუდო, ბოსტნეული ან ქათამი)(ცვალებადი)
8 სახის პური
8 სახის ნამცხვარი (ასორტი)
ხილი
მშრალი ხილი (ჩურჩხელას ჩათვლით)
სოუსი (კეტჩუბი, მაიონეზი, მდოგვი)
2 სახის რძე
ლიმონი
6 სახის ჩაი
ყავა
4 სახის წვენი

შემსყიდველი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

თამარ ალადაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი

შპს ლოპოტა

გიორგი მაისურაძე
დირექტორი